ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 2013 წლის 14 ივნისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) №799 კონკურსით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ზვიად ძიძიგური
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მარაქველიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	შოთა გოშაძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ჰამლეტ სხულუხია
საკონკურსო კომისიის წევრი	მერაბ გოცირიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ვლადიმერ ხუციშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლეშკაშელი
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	ზაურ ჯიოშვილი
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	მარიამ ჩახავა

საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის მიერ
საინჟინრო -საპროექტო მომსახურების
კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის
სხდომის ოქმი №2

ქ. ქუთაისი 2013 წლის 14 ივნისი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად ძიძიგური – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ მარაქველიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

შოთა გოშაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე;

ჰამლეტ სხულუხია – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ გოცირიძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

ვლადიმერ ხუციშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ლეშკაშელი – საკონკურსო კომისიის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკომენდანტო განყოფილების უფროსი;

ზაურ ჯიოშვილი – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი;

მარიამ ჩახავა – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

საკონკურსო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის წევრი ნუგზარ ლომიძე, რომელსაც დროებითი შრომისუუნარობის გამო გახსნილი აქვს საავადმყოფო ფურცელი.

დღის წესრიგი:

საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (71300000 - საინჟინრო მომსახურებები) კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 3 ივნისს გამოცხადებული №799 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა, ზაურ ჯიოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე საკონკურსო წინადადებები წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა.

1. შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო" ერთობლივად;
2. შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი".

შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებებიდან გაირკვა, რომ:

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-სა და შპს „ქართულ-გერმანული ექსპერტიზის ბიურო" -ს ერთობლივად მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს 76 700 ლარს, საბოლოო დოკუმენტაციის მომზადების ვადა 45 კალენდარული დღე.

შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი"-ს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს 75 000 ლარს, საბოლოო დოკუმენტაციის მომზადების ვადა 20 კალენდარული დღე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შესწავლის, საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით გადაეცეს

საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილებას.

დაადგინეს:

1. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შესწავლის, საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით გადაეცეს საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილებას.

2. კომისიის მორიგი სხდომის გამართვის შესახებ კომისიის წევრებს ეცნობებათ დამატებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ხვიად ძიძიგური
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მარაქველიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	შოთა გოშაძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ჰამლეტ სხულუხია
საკონკურსო კომისიის წევრი	მერაბ გოცირიძე
საკონკურსო კომისიის წევრი	ვლადიმერ ხუციშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	ნუგზარ ლეშკაშელი